

თჰუ
ჯანდაცვის ფაკულტეტის საბჭო
სხდომის ოქმი №08

თბილისი

05 აპრილი 2013 წ.

სხდომას ესწრებოდნენ:

ასოც. პროფ. ილონა საყვარელიძე, სრული პროფ. ნინო ორმოცაძე, სრული პროფ. მარია კუბლაშვილი.

სტუდენტები: მეგი ბირკაძე, ინნა დეისაძე.

სხდომის თავმჯდომარე: ასოც. პროფ. ილონა საყვარელიძე

სხდომის მდივანი: გაიანე გრიგორიანი

დღის წესრიგი:

- 1) ჯანდაცვის ფაკულტეტის დებულების მეორე რედაქციის მოდიფიცირების საკითხი;
- 2) ჯანდაცვის ფაკულტეტის სტომატოლოგიური კლინიკის დებულების მოდიფიცირების და დამტკიცების საკითხი;
- 3) ჯანდაცვის ფაკულტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმის მოდიფიცირების და დამტკიცების საკითხი.
- 4) თჰუ ჯანდაცვის ფაკულტეტის კბილის ტექნიკოსის პროფესიული კვალიფიკაციის მიმნიჭებელი საკვალიფიკაციო კომისიის დამტკიცების საკითხი;

მოისმინეს:

- 1) პირველ საკითხთან დაკავშირებით, თჰუ ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის ასოც. პროფ. ილონა საყვარელიძის ინფორმაცია, ჯანდაცვის ფაკულტეტის დებულების მეორე რედაქციით მოდიფიცირების შესახებ. დებულება შედგება 12 მუხლისაგან. მომხსენებელმა თითოეული მუხლი განიხილა დეტალურად (დანართი 1).
- 2) მეორე საკითხთან დაკავშირებით, თჰუ ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის ასოც. პროფ. ილონა საყვარელიძის ინფორმაცია, ჯანდაცვის ფაკულტეტზე სტომატოლოგიური კლინიკის დებულების მოდიფიცირების შესახებ, რომელიც უზრუნველყოფს დიპლომირებული სტომატოლოგის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის და 2013–2014 სასწავლო წლიდან კბილის ტექნიკოსის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში სასწავლო პრაქტიკის გავლის მიზნით კლინიკური უნარ-ჩვევის განვითარებას. სტომატოლოგიური კლინიკის დებულება შედგება 8 მუხლისაგან (დანართი 2).
- 3) მესამე საკითხთან დაკავშირებით თჰუ ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის ასოც. პროფ. ილონა საყვარელიძის ინფორმაცია, ფაკულტეტის განვითარების სტრატეგიული გეგმის მოდიფიცირების შესახებ 2013-2018 წლებში (დანართი 3). მომხსენებელმა ფაკულტეტის საბჭოს წარუდგინა სტრატეგიული გეგმის სტრუქტურა, რომელიც შედგება შემდეგი პარაგრაფებისაგან: მისია, ღირებულებები, მომავლის ხედვა; ფაკულტეტის ისტორია და დღევანდელი მდგომარეობა; ფაკულტეტის მიზნები და ამოცანები; ფაკულტეტის რესურსები; swot ანალიზი, რომელიც მოიცავს ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობებისა და საფრთხეების ანალიზს, სტრატეგიული მიზნების შემუშავება.
- 4) მეოთხე საკითხთან დაკავშირებით თჰუ ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის ასოცირებული პროფესორის ილონა საყვარელიძის ინფორმაცია რომ თჰუ ჯანდაცვის ფაკულტეტის 2012–2013

სასწავლო წელს დამამთავრებელი კბილის ტექნიკოსის პროფესიული პროგრამის სტუდენტებისათვის პროფესიული განათლების დებულების მე-9 მუხლის თანახმად უნდა შეიქმნას კვალიფიკაციის მიმნიჭებელი საკვალიფიკაციო კომისია.

აზრი გამოთქვას:

პროფესორმა ნ. ორმოცაძემ, პროფ.მ. კუბლაშვილმა.

ჯანდაცვის ფაკულტეტის საბჭომ კენჭისყრის შედეგად ერთხმად გადაწყვიტა:

1. მოწონებულ იქნას ჯანდაცვის ფაკულტეტის მოდიფიცირებული დებულების მეორე რედაქციის პროექტი წარმოდგენილი სახით და დასამტკიცებლად გადაეცეს თჰუ აკადემიურ საბჭოს (დანართი 1).
2. დამტკიცდეს ჯანდაცვის ფაკულტეტის სტომატოლოგიური კლინიკის მოდიფიცირებული დებულება (დანართი 2).
3. დამტკიცდეს ჯანდაცვის ფაკულტეტის მოდიფიცირებული განვითარების სტრატეგიული გეგმა (2013–2018 წწ.) (დანართი 3)
4. თჰუ ჯანდაცვის ფაკულტეტის კბილის ტექნიკოსის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კვალიფიკაციის მიმნიჭებელი საატესტაციო-საგამოცდო კომისია 2012–2013 სასწავლო წლისათვის დამტკიცდეს შემდეგი შემადგენლობით:
 - ა) კომისიის თავმჯდომარეობა ეთხოვოს თჰუ რექტორს, სრულ პროფესორს ვალენტინა საყვარელიძეს;
 - ბ) ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანი, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი ილონა საყვარელიძე – კომისიის წევრი;
 - გ) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, სრული პროფესორი მაკა კაჭარავა – კომისიის წევრი;
 - დ) ჯანდაცვის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, კომისიის მდივანი რუსუდან დევნოზაშვილი – კომისიის წევრი;
5. აღნიშნული გადაწყვეტილებები გამოქვეყნდეს თჰუ ვებ-გვერდზე.
6. ეთხოვოს თჰუ რექტორს აღნიშნული გადაწყვეტილების პირველი საკითხის ბრძანებაში ასახვა.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე:

ი.საყვარელიძე

სხდომის მდივანი:

გ. გრიგორიანი

